მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ლევან ბერიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-660546)
შპს „ჯიემ კონსალტინგის" სახელით
თბილისი, საქართველო
30 ნოემბერი, 2022 წელი

შპს „ჯორჯია მეტალ“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი		1,098,024	43,516
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,110,040)	(7,630)
საერთო მოგება		(12,016)	35,886
მიწოდების ხარჯები		(13,394)	(950)
ცვეთა და ამორტიზაცია		(695,341)	(297,984)
ადმინისტრაციული ხარჯები	3	(418,403)	(447,822)
სხვა ხარჯები		(28,744)	(38,559)
საოპერაციო მოგება		**(1,167,899)**	**(749,430)**
ფინანსური შემოსავალი	4	30,889	17,605
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი		1,846,612	(2,630,214)
საპროცენტო ხარჯი	4	(47,144)	(37,250)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		**662,458**	**(3,399,289)**
მოგების გადასახადის ხარჯი	5	-	-
წმინდა მოგება/ზარალი		**662,458**	**(3,399,289)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**662,458**	**(3,399,289)**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 ნოემბერს, შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი — გიორგი ანთაძე

11-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყეევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს ფინანსურ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

გიორგი ანთაძე

შპს „ჯორჯია მეტალ“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თბილისი, 2022

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება 3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 10
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 11
1. ზოგადი ინფორმაცია 12
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღირცხვო პოლიტიკა 12
3. ადმინისტრაციული ხარჯები 21
4. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) ნეტო 21
5. მოგების გადასახადი ხარჯი 21
6. ძირითადი საშუალებები 22
7. სხვა გრძელვადიანი აქტივები 23
8. საგადასახადო აქტივები და ვალდებულება 23
9. მარაგები 23
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 23
11. ფული და ფულის ეკვივალენტები 24
12. მიღებული სესხები 24
13. ფინანსური რისკის მართვა 24
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 27
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 28
16. საქმიანობის უწყვეტობის შეფასება 28
17. პირობითი ვალდებულებები 28
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 29

მმართველობის ანგარიშგება 31

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ჯორჯია მეტალ“ -ის ხელმძღვანელებს და მფლობელებს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯორჯია მეტალ“-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად და სრულად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. აგრეთვე, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს, რომლებიც აღნიშნული კოდექსით არის განსაზღვრული. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ

მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას. ამასთან, მიგვაჩნია, რომ არ არსებობს ისეთი ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებაც ცალკე ინფორმირებაა საჭირო.

სხვა ინფორმაცია

ჩვენს პასუხისმგებლობას წარმოადგენს, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

სხვა გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა. შესაბამისად, ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება ეხება მხოლოდ 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოადგენს, შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მივმართავთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვახორციელებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებას. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლის სისტემას რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე გამოვთქვათ მოსაზრება;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას. ასევე,

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

- დასკვნა გამოგვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. აუდიტორის დასკვნაში ვალდებულები ვართ, რომ ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე იმ შემთხვევაში თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად. ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ლევან ბერიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-660546)
შპს „ჯიემ კონსალტინგის" სახელით
თბილისი, საქართველო
30 ნოემბერი, 2022 წელი

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი		1,098,024	43,516
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,110,040)	(7,630)
საერთო მოგება		(12,016)	35,886
მიწოდების ხარჯები		(13,394)	(950)
ცვეთა და ამორტიზაცია		(695,341)	(297,984)
ადმინისტრაციული ხარჯები	3	(418,403)	(447,822)
სხვა ხარჯები		(28,744)	(38,559)
საოპერაციო მოგება		**(1,167,899)**	**(749,430)**
ფინანსური შემოსავალი	4	30,889	17,605
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი		1,846,612	(2,630,214)
საპროცენტო ხარჯი	4	(47,144)	(37,250)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		**662,458**	**(3,399,289)**
მოგების გადასახადის ხარჯი	5	-	-
წმინდა მოგება/ზარალი		**662,458**	**(3,399,289)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**662,458**	**(3,399,289)**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 ნოემბერს, შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი გიორგი ანთაძე

11-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	4,796,537	3,056,140
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	33,266,745	26,083,628
სულ გრძელვადიანი აქტივები		38,063,282	29,139,769
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		1,994,063	13,196,784
მარაგები	9	1,123,135	490,506
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	9,114,978	688,368
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	27,665	312,386
სულ მიმდინარე აქტივები		12,259,841	14,688,045
სულ აქტივები		**50,323,123**	**43,827,813**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		(3,962,988)	(4,625,446)
სულ კაპიტალი		(3,962,988)	(4,625,446)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		387,815	387,815
მიღებული გრძელვადიანი სესხები	12	31,305,567	22,768,400
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		31,693,381	23,156,215
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	12	3,523,008	2,340,251
გადასახადელი ხელფასები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		10,989	8,395
საგადასახადო ვალდებულებები	8	103,873	161,972
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		18,954,860	22,786,427
სულ მიმდინარე ვალდებულებები		22,592,730	25,297,044
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**50,323,123**	**43,827,813**

11-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	სულ
2020 წლის 1 იანვარი	**-**	**(1,226,157)**	**-**	**(1,226,157)**
წლის სრული შემოსავალი	-	(3,399,289)		**(3,399,289)**
გამოცხადებული დივიდენდი	-		-	**-**
				-
2020 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(4,625,446)**	**-**	**(4,625,446)**
წლის სრული შემოსავალი	-	662,458		**662,458**
გამოცხადებული დივიდენდი	-		-	**-**
				-
2021 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(3,962,988)**	**-**	**(3,962,988)**

11-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		662,458	(3,399,289)
კორექტირებები:			
ცვეთა		695,341	297,984
საპროცენტო შემოსავალი		(29,588)	(17,605)
გადახდილი პროცენტები		47,144	37,250
კურსთაშორის სხვაობისდან მიღებული მოგება/ზარალი		(1,846,612)	2,630,214
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		**(471,256)**	**(451,446)**
მარაგების ზრდა/შემცირება		(632,628)	(409,729)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება		(8,426,610)	(681,759)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		(3,887,072)	8,021,153
გადახდილი ავანსებისა და სხვა მიმდინარე აქტივების (ზრდა)/შემცირება		11,202,721	(3,640,075)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**(2,214,846)**	**2,838,144**
მოგების გადასახადი		-	-
გადახდილი დივიდენდი		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**(2,214,846)**	**2,838,144**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა/დაუმთავრებელი მშენებლობა		(9,618,855)	(12,158,840)
საპროცენტო შემოსავალი		29,588	17,605
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(9,589,268)**	**(12,141,235)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება		9,719,923	12,149,128
საპროცენტო ხარჯი		(47,144)	(37,250)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**9,672,780**	**12,111,879**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		(2,131,333)	2,808,788
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	312,386	133,813
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		1,846,612	(2,630,214)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	**27,664**	**312,386**

11-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯია მეტალ“ დაარსდა 2018 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის: საქართველო, ზესტაფონის რაიონი, სოფ. არგვეთა. აღნიშნულ მისამართზე არის განთავსებული კომპანიის სათაო ოფისი და ქარხანა.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პერიოდში კომპანია აშენებს არმატურის საწარმოებელ ქარხანას. საზოგადოებას დაგეგმილი აქვს, რომ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია მოახდინოს როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთაც.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 85% წილის მფლობელია ფ/პ ზურაბი ღიბრაძე, 10% მფლობელია ავთანდილ კოჩაძე, ხოლო 5% მფლობელია გოჩა გვენეტაძე. ეს უკანასკნელი ასევე იყო კომპანიის დირექტორი. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის 90% წილის მფლობელია ფ/პ ზურაბი ღიბრაძე, ხოლო 10% მფლობელია ავთანდილ კოჩაძე. კომპანიის დირექტორია გიორგი ანთაძე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ,,მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ’’ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანია არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის

დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2 ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - „ქართული ლარი“ (GEL). შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით.

ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233

2.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.4 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ კომპანიის საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. კომპანია ამონაგებში არ ითვალისწინებს მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებულ ისეთ თანხებს, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადი. ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

2.5 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

2.6 გადასახადები

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის

აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები აღირიცხება აღნიშნული აქტივის თვითღირებულებაში. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღირიცხება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული.

კომპანია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულების ნაწილის სახით ახდენსს კაპიტალიზაციის დაწყების თარიღიდან. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღად მიიჩნევა ის თარიღი, როდესაც კომპანია პირველად დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

ა) განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;

ბ) გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;

გ) დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

განსაკუთრებულ აქტივზე გაწეული დანახარჯები მოიცავს მხოლოდ ისეთ დანახარჯებს, რომელსაც მოჰყვება საწარმოდან ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების გასვლა, ან პროცენტიანი ვალდებულებების წარმოშობა. ეს დანახარჯები მცირდება მოცემულ აქტივთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი შუალედური გადახდის თანხებისა და მიღებული სახელმწიფო გრანტების სიდიდით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის. საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით კომპანიისთვის. ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ვადები მოცემულია ცხრილში:

დასახელება	ექსპლუატაციის ვადა
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	5-10
მანქანა-დანადგარები	10
შენობა-ნაგებობა	40

2.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლომატერიალური ფასეულობების შემთხვევაში _ გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

2.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს ლიდერ-ფუდში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა. კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა.

იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.10 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც

უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. ზოგიერთი სახის მარაგი შეიძლება მიეკუთვნოს სხვა აქტივების ანგარიშებს, მაგალითად მარაგი, რომელიც კომპანიის მიერ გამოყენებული იყო საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების კომპონენტის სახით. სხვა აქტივზე ამგვარად მიკუთვნებული მარაგი შემდგომში აისახება წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკის იმ დებულებების მიხედვით, რომელიც ამ აქტივის ტიპის შესაფერისი იქნება.

2.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

2.12 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.13 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაობების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის

ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებთ.

2.14 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.15 კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

2.16 დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

2.17 სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

თუ კომპანია მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, ანაზღაურების აღიარება ხდება აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიღება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

3. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯების სტრუქტურა 2021 და 2020 წლებში წარმოდგენილია შემდეგნარიად:

	2021	2020
კომუნიკაციის ხარჯი	136	-
დაზღვევა	7,984	3,840
რემონტი	1,872	22,239
საკონსულტაციო ხარჯი	49,707	1,969
საკანცელარიო ხარჯი	10,170	580
საბანკო ხარჯი	4,681	64,369
ქონების გადასახადი და სხვა საგადასახადო ხარჯი	312,517	265,869
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	31,338	88,957
სულ:	**418,403**	**447,822**

4. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) ნეტო

ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) ნეტო 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ხარჯი	2021	2020
საპროცენტო ხარჯი	(47,144)	(37,250)
სულ ფინანსური ხარჯი:	**(47,144)**	**(37,250)**
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი	29,588	17,605
სხვა ფინანსური შემოსავალი	1,301	-
სულ ფინანსური შემოსავალი:	**30,889**	**17,605**
სულ ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) ნეტო	**(16,254)**	**(19,644)**

5. მოგების გადასახადი ხარჯი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

2021 და 2020 წლებში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი წარმოქმნილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული მოდელის საფუძველზე გაცემული დივიდენდის დაბეგვრით.

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	სულ:
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	**865,000**	**-**	**2,517**	**-**	**190**	**-**	**867,707**
შემოსვლა	27,555	353,390	1,298,721	11,784	98,663	696,305	**2,486,418**
გასვლა	-						-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	**892,555**	**353,390**	**1,301,238**	**11,784**	**98,853**	**696,305**	**3,354,125**
შემოსვლა			3,281,550	48,011	8,290	193,516	**3,531,367**
გასვლა			(1,095,629)				**(1,095,629)**
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	**892,555**	**353,390**	**3,487,159**	**59,795**	**107,144**	**889,821**	**5,789,863**
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(8,835)	(214,288)	(1,178)	(4,943)	(68,740)	**(297,984)**
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-						-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(8,835)**	**(214,288)**	**(1,178)**	**(4,943)**	**(68,740)**	**(297,984)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(17,669)	(467,112)	(10,941)	(21,654)	(177,964)	**(695,342)**
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-						-
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(26,504)**	**(681,401)**	**(12,120)**	**(26,597)**	**(246,705)**	**(993,326)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	**865,000**	**-**	**2,517**	**-**	**190**	**-**	**867,707**
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	**892,555**	**344,555**	**1,086,949**	**10,605**	**93,911**	**627,565**	**3,056,140**
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	**892,555**	**326,886**	**2,805,758**	**47,675**	**80,547**	**643,117**	**4,796,537**

7. სხვა გრძელვადიანი აქტივები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა გრძელვადიანი აქტივები შეადგენს 33,266,745 ლარს და 26,083,628 ლარს, შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია აშენებს მეტალურგიულ ქარხანას. კერძოდ, სხვადასხვა სახეობის არმატურის საწარმოო ხაზს და 30 მგვტ სიმძლავრის ღუმელს. კომპანიას დაგეგმილი აქვს წარმოების პროცესის 2023 წლის მეორე კვარტალში დაწყება. შესაბამისად, მშენებლობა მიმდინარეობს ინტენსიურ რეჟიმში.

8. საგადასახადო აქტივები და ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე როგორც ლარის 103,873 და 161,972 ლარის საგადასახადო ვალდებულებები, შესაბამისად.

9. მარაგები

მარაგები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
ნედლეული და მასალები	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1,123,135	490,506
სულ:	**1,123,135**	**490,506**

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	9,111,663	687,355
სხვა მოთხოვნები	3,315	1,013

სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**9,114,978**	**688,368**
	-	-
გაცემული ავანსები	1,994,063	13,196,784
სულ არაფინანსური მოთხოვნები	1,994,063	13,196,784
სულ მოთხოვნები	**11,109,041**	**13,885,152**

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	**31.12.2020**
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	994	310,700
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	26,670	1,686
სულ:	**27,665**	**312,386**

12. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	**31.12.2020**
მოკლევადიანი სესხი	3,523,008	2,340,251
გრძელვადიანი სესხი	31,305,567	22,768,400
სულ:	**34,828,575**	**25,108,651**

კომპანიას აქვს დიდი რაოდენობის სასესხო ვალდებულებები, რომლითაც აფინანსებს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას. სესხები აღებულია, როგორც საქართველოს ფინანსური ინსტიტუტიდან, ასევე კერძო იურიდიული და ფიზიკური პირებიდან.

13. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტი რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,114,978	688,368
გადახდილი ავანსები	1,994,063	13,196,784
ფული და ფულის ექვივალენტები	27,665	312,386
სულ ფინანსური აქტივები:	**11,136,706**	**14,197,539**
	-	-
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	34,828,575	25,108,652
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,954,860	22,786,427
სხვა ვალდებულებები	502,676	558,181
სულ ფინანსური ვალდებულებები	**54,286,111**	**48,453,259**

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიხედვით საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კატეგორიების

მიხედვით:

- „ვადადაუმდგარი და გაუფასურების გარეშე“
- „ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე“ და
- „ინდივიდუალურად გაუფასურებული“

პირველი კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მეორე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელიც არის ვადაგადაცილებული, თუმცა ობიექტური მტკიცებულება მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა. ასევე, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება აქტივები, რომელიც ვადაგადაცილებულია, თუმცა მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება და უზრუნველყოფა სრულად ფარავს აქტივის ღირებულებას.

მესამე კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელთა გაუფასურებაზე შემოწმება ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე და იქმნება შესაბამისი რეზერვი. კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საპროცენტი რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები. სესხების წლიური საპროცენტო საბაზისო განაკვეთი შეადგენს 3.5%-დან და 4.5%-მდე, რომელსაც ემატება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი. შესაბამისად, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება (შემცირება ან გაზრდა) აისახება კომპანიის საპროცენტო ხარჯზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

კომპანიამ 2021 წლის მაისის და ივნისის თვეებში, ყველა არსებული სესხი გადაიტანა ეროვნულ ვალუტაში, რითაც მინიმუმამდე დაიყვანა სავალუტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონა ვირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა, რომელიც 2021 წლის განმავლობაშიც გრძელდება. COVID-19–მა გლობალურად გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მკვეთრი შეფერხება და ეკონომიკური მომავლის გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა. 2022 წლის თებერვლის თვეში დაიწყო ომი რუსეთის რესპუბლიკასა და უკრაინის რესპუბლიკას შორის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ჩვენს რეგიონში არსებულ ბიზნეს გარემოზე. ვალუტის კურსის მკვეთრი უარყოფითი/დადებითი ცვლილებები საქმიანობის დაგეგმვას და მომავლის პროგნოზირებას კიდევ უფრო ართულებს. თუმცა, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ეფექტურად მართავს კომპანიის საქმიანობას.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2021 და 2020 წლების განმავლოაბში კომპანიას უფიქსირდება დაკავშირებულ მხარეებთან მცირე მოცულობის ოპერაციები, თუმცა ოპერაციები განხორციელებულია საბაზრო ფასებით.

16. საქმიანობის უწყვეტობის შეფასება

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი ფაქტორით:

• კომპანიის სტრატეგია არის მომავალზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტების შეთავაზებაში;

. კომპანიას აქვს შემუშავებული სამომავლო გეგმები, რომლებიც ორიენტირებულია პროდუქციის ხარისხის და ასორტიმენტის გაზრდაზე.

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ სიძნელეების მიუხედავად, საოპერაციო დონეებზე მკვეთრი ცვლილებების გარეშე განაგრძობენ საოპერაციო მოქმედებებს მომავალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, კომპანია არ აწარმოებდა სასამართლო დავებს.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი

გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ სრული საგადასახადო შემოწმების ჩატარება ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ გამოშვებულია და დამოწმებულია 2022 წლის 30 ნოემბერს.

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 1 იანვარი - 2021 წლის 31 დეკემბერი

ზესტაფონი, 2022

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება	**შპს „ჯორჯია მეტალ“**
საიდენტიფიკაციო კოდი	**430037239**
იურიდიული მისამართი	**საქართველო, ზესტაფონის რაიონი, სოფ არგვეთა**
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი	**2018 წლის 19 აპრილი**
დირექტორი	**გიორგი ანთაძე**
საქმიანობის სფერო (“ეკონომიკური საქმიანობის სახეების”- სეკ-ის მიხედვით)	**მეტალურგიული საწარმო, სხვადასხვა კვეთის არმატურის წარმოება**

კომპანიის მოკლე ისტორია, საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის მოკლე ისტორია და ძირითადი საქმიანობა

შპს „ჯორჯია მეტალი“ ჩამოყალიბდა 2018 წლის 19 აპრილს. დღეის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი გახლავთ გიორგი ანთაძე. საწარმოს წილობრივი განაწილება მმართველობის ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არის შემდეგი:

• 21001003059, ავთანდილი კოჩაძე 10%

• 21001005283, ზურაბი ღიბრაძე 90%

შპს “ჯორჯია მეტალის“ ძირითადი საქმიანობის სფეროა საკუთარ მეტალურგიულ ქარხანაში არმატურის წარმოება და მისი შემდგომი რეალიზაცია. ჩვენ საქმიანობას ვახორციელებთ ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში, სადაც მმართველობითი ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მიმდინარეობს კონკურენტუნარიანი ქარხნის მშენებლობის პროცესი, სადაც დანერგილი იქნება უახლესი ტექნოლოგიები, რაც საშუალებას მოგვცემს ვიყოთ ერთ-ერთი ლიდერი არმატურის მწარმოებელ საწარმოთა სექტორში.

მმართველობითი ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მიმდინარეობს ძირითადი საწარმოო ხაზის და ელექტრორკალური ღუმელის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე არის 30 მგვტ, ხოლო წლიური წარმადობა დაგეგმილია, რომ იყოს 250 000 ტონა წელიწადში. სამომავლოდ დაგეგმილია მეორე ღუმელის აშენებაც, რაც გამოიწვევს კომპანიის წარმადობის არსებით ზრდას.

საამაყოდ გვინდა ავღნიშნოთ, რომ ქარხანაში დანერგილია უმაღლესი ტექნოლოგიის იტალიური დანადგარები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმადე შემცირებას. გამწმენდ სისტემათა კომპლექტი, აკმაყოფილებს ეკოლოგიის თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენთვის უმთავრესი პრიორიტეტი არის გარემოზე ზრუნვა, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ მიმართულებით სრულად ვასრულებთ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამისად მჭიდროდ ვთანაშრომლობთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ჩვენს მიერ, დაქირავებულმა ავტორიტეტულმა ფირმამ შეისწავლა ჩვენი სამომავლო

საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზიანი, ხოლო შემოწმების შედეგები გადაგზავნილ იქნა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

ჩვენს კომპანიას გადაწყვეტილი აქვს, წარმოების პროცედურების დაწყებისთანავე აიღოს ხარისხის სერთიფიკატი, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს.

მმართველობითი ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, ჩვენს საწარმოში მიმდინარეობს უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ქიმიური ლაბორატორიის მშენებლობა, სადაც შესაძლებელი იქნება უწყვეტ ციკლში შემოწმდეს შემოსული ნედლეულის და წარმოების შედეგად მიღებული პროდუქციის ხარისხი. შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი უწყვეტ რეჟიმში იქნება უზრუნველყოფილი.

კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლები

შპს „ჯორჯია მეტალში“ დასაქმებული პირები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით. მათი მრავალწლიანი გამოცდილება მეტალურგიულ წარმოებაში, უზრუნველყოფს კომპანიის მართვის ეფექტურობას და სამომავლოდ პროდუქციის უმაღლესი ხარისხის მიღებას.

ჩვენს კომპანიაში სისტემატიურად მიმდინარეობს პერსონალის გადამზადების პროცესი. ჩვენ ვქმნით კონკურენტულ და მოტივირებულ გარემოს ჩვენს მიერ დასაქმებულ პირთათვის. ამავდროულად, დაინტერესებული ვართ, რომ მოვიზიდოთ მეტალურგიული განათლების სურვილის მქონე პერსპექტიული და წარჩინებული სტუდენტები. კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა მუდმივად იცვლება და საშუალოდ მერყეობს 100 დასაქმებულამდე, ხოლო მას შემდეგ რაც ქარხანა სრულყოფილად დაიწყებს ფუნქციონირებას, მათი რიცხვი გაიზრდება რამოდენიმეჯერ.

საქმიანობის განვითარების გეგმები

ჩვენი საქმიანობა ძირითადად დაფინანსებულია გრძელვადიანი სესხებით, რომლებიც აღებულია როგორც ფინანსური ინსტიტუტიდან, ასევე კერძო პირებისგან.

კომპანიის გათვლებით, სამომავლოდ შემოსავლების ძირითად წყაროს უნდა წარმოადგენდეს არმატურის წარმოება და მისი შემდგომი რეალიზაცია, როგორც

ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კომპანიის გეგმით, შემოსავლების გენერირება საწარმოში უნდა დაიწყოს 2023 წლის მეორე კვარტალში.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საოპერაციო რისკები

წარმოების პროცესში ღუმელი, რითიც უნდა იწარმოოს კომპანიის საბოლოო პროდუქტი დაგეგმილია, რომ ექსპლუატაციაში შევიდეს 2023 წლის მე-2 კვარტალში, თუმცა არსებობს განუსაზღვრელობის რისკი, რომ შესაძლოა დაგეგმილ ვადაში ვერ მოხერხდეს წარმოების დაწყება და კომპანიას მოუწიოს წარმოების დაწყება 2023 წლის მე-3 ან მე-4 კვარტალში, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება კომპანიის ეკონომიკურ შედეგებზე.

საოპერაციო რისკს წარმოადგენს ასევე, ბაზრის სპეციფიკა, რომ რიგ შემთხვევებში, არმატურის მწარმოებელი საწარმო იძულებულია პროდუქცია გაყიდოს არასარფიანად, რადგან ფასის განსაზღვრა ხდება კონკრეტულ მყიდველთან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. შესაბამისად, რიგ ეპიზოდებში კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მყიდველზე და საბაზრო ფასზე. საოპერაციო რისკის მართვის მიზნით, საზოგადოების მუდმივად იზრუნებს ბაზრის დივერსიფიცირებაზე, რაც გამოიხატება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში კლიენტურის მოძიებაში.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშეც. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს ფინანსურ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

გიორგი ანთაძე